

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №485
2012 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების
დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №26 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

დანართი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება.

2. სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით.

3. სამინისტრო ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და მისი შესრულების კონტროლს.

4. სამინისტროს დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. სამინისტროს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით, შესაბამისი ბეჭდები და შტამპები, დამოუკიდებელი ბალანსი,

ანგარიში საქართველოს ხაზინაში, ემბლემა და სატიტულო ფურცელი თავისი დასახელებითა და საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

6. სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0159, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.

მუხლი 2. სამინისტროს მმართველობის სფერო და ამოცანები

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგები.

2. სამინისტროს ამოცანებია:

ა) სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიის შემუშავება;

ბ) სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

გ) ქვეყანაში აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

დ) ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;

ვ) აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

ზ) სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;

თ) ქვეყანაში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა;

ი) საექსპორტო პოტენციალის გამოყენების, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ხელშეწყობა;

კ) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებისათვის ხელშეწყობა;

ლ) შიდა და გარე ბაზრების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;

მ) სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტების სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურების, პროფესიული ცოდნის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებისათვის ხელშეწყობა;

ნ) ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ო) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და საერთაშორისო პროგრამების მართვა;

პ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა და სანებართვო-სალიცენზიო პირობების შესრულების ზედამხედველობა;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის ხელშეწყობა;

რ) კომპეტენციის ფარგლებში ტექნიკური რეგლამენტების პროექტების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ს) ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობა;

ტ) დარგების მიხედვით პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

უ) კომპეტენციის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

ფ) პესტიციდების, აგროქიმიკატების, ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშების გამოცდის ორგანიზება და რეგისტრაცია კომპეტენციის ფარგლებში;

ქ) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ობიექტების შემოღწევისაგან;

ღ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ტექნოლოგიების განახლებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

ყ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საჭიროების პროგნოზირება და მათი გამოყენებისათვის ხელშეწყობა;

შ) მემცენარეობის და მეცხოველეობის საქმიანობის ხელშეწყობა;

ჩ) მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;

ც) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. სამინისტროს უფლებამოსილებები

სამინისტროს უფლებამოსილებებია:

ა) საქართველოს აგრარული და სასურსათო მდგომარეობის ანალიზისა და პროგნოზირების მიზნით, კანონმდებლობის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისაგან, ასევე კერძო სამართლის სუბიექტებისაგან;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის, ნორმატიული აქტების, სახელმწიფო პროგრამებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებაში;

გ) გამართოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები და სიმპოზიუმები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

დ) დადგენილი წესით მიავლინოს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესასწავლად, კონფერენციებსა და სხვა სახის შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამყაროს ურთიერთობა სხვა ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

ვ) ზედამხედველობა გაუწიოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

ზ) საქართველოს მთავრობას პერიოდულად მოახსენოს მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ;

თ) უზრუნველყოს საზოგადოებასთან ურთიერთობა უშუალოდ ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ი) უზრუნველყოს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და გაფართოება, თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ;

ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 4. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში - მინისტრი), რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრს ჰყავს ხუთი მოადგილე, მათ შორის ერთი – პირველი, რომელთაც მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი და კომპეტენციის სფერო განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

4. მინისტრის დავალებით მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

5. მინისტრის არყოფნისას სამინისტროს საქმიანობას ხელმძღვანელობს მინისტრის პირველი მოადგილე.

მუხლი 5. მინისტრის უფლება-მოვალეობანი

1. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტების შესრულებისათვის;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროს მიკუთვნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს საჯარო

მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს მოსამსახურეებს, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ. იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების თაობაზე და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;

ვ) განსაზღვრავს მინისტრის პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა მართვის სფეროში;

ზ) წარმოადგენს სამინისტროს ან ანიჭებს სამინისტროს თანამშრომლებს საქართველოს სასამართლოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილებას;

თ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში - საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებებს;

ი) დადგენილი წესით წარადგენს სამინისტროს მოსამსახურეებს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების მისანიჭებლად;

კ) უფლებამოსილია შექმნას საკონკურსო-საატესტაციო კომისია;

ლ) დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

მ) ამტკიცებს სამინისტროს შინაგანაწესს;

ნ) განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს, პრემიის, აგრეთვე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ერთჯერადი დახმარების რაოდენობას;

ო) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

პ) მონაწილეობს საქართველოს მთავრობის სხდომებში;

ჟ) ითანხმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის დანიშვნას;

რ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს;

ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის მინისტრთან. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

3. მინისტრი უფლებამოსილია თავისი ბრძანებით შექმნას სათათბირო ორგანოები, კომისიები, საბჭოები და სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობა (მათ შორის

კონკრეტული დარგის მოწვეული სპეციალისტები), საქმიანობის, უფლებამოსილების ვადა და ანაზღაურების წესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 6. სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში შედის:

- ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ერთიანობა ქმნის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს;
- ბ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები;
- გ) საჯარო სამართლის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს ან/და დამფუძნებლის უფლებამოსილებასაც ახორციელებს სამინისტრო.

მუხლი 7. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი უფლებამოსილებები

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია: *(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)*

- ა) სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტი;
- ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- გ) იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- დ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
- ე) საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტი;
- ვ) მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი;
- ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- თ) პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი;
- ი) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
- კ) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- ლ) ევროინტეგრაციის დეპარტამენტი;
- მ) რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტი.

2. სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: *(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)*

- ა) მეცხოველეობის, მემცენარეობის, მეთევზეობის დარგების განვითარების მიზნით პროგრამების შემუშავება;
- ბ) აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;
- გ) კომპეტენციის ფარგლებში, სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა;
- დ) ქვეყანაში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დარგებში პოლიტიკის შემუშავების მიზნით, წინადადებების მომზადება;
- ე) სოფლის მეურნეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და/ან მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) სოფლის მეურნეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროებში მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და/ან შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის ხელშეწყობა და კოორდინაცია.

3. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: *(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)*

ა) სამინისტროს საქმიანობის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საქმიანობის უზრუნველყოფა;

ბ) მინისტრის თათბირებისა და სხდომების ორგანიზება;

გ) მინისტრის მიერ შექმნილი კომისიებისა და საბჭოების სხდომების მომზადების უზრუნველყოფა და ოქმების შედგენა;

დ) პროტოკოლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება;

ე) სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ერთიანი საქმისწარმოებისა და საიდუმლო საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ვ) სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის და სამობილიზაციო გეგმის მომზადება.

4. იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: *(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)*

ა) სამინისტროს სისტემის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა და საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობების კოორდინაცია;

ბ) სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ მომზადებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტში წარდგენის უზრუნველყოფის კოორდინაცია;

გ) სამინისტროში მომზადებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა კომპეტენციის ფარგლებში;

დ) სამინისტროს ინტერესების დაცვა სასამართლოებში;

ე) სამინისტროში კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის წარმართვის უზრუნველყოფა;

ვ) მთავრობათაშორისი და უწყებათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა.

5. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) სამინისტროს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

დ) სამინისტროს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ვ) სამინისტროს აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შემდეგი ღონისძიებები:

ზ.ა) სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

ზ.ბ) სამინისტროს სისტემაში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ზ.გ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ზ.დ) სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლი;

ზ.ე) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მინისტრთან შეთანხმებით, მასალების შესაბამის ორგანოში გადაგზავნა;

თ) სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს სამინისტროს ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს;

6. საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის წარმართვა, სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

ბ) სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხის მიზნობრივი ათვისების უზრუნველყოფა, საბიუჯეტო დაფინანსების სისტემური ანალიზი;

გ) პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების პირობების სრულყოფა;

დ) სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება;

ე) სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილი კვარტალური და წლიური ანგარიშების სისწორის კონტროლი, ნაერთი ბალანსის მომზადება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციათა წინაშე სავალდებულო ანგარიშგება;

ვ) სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულებათა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლების უზრუნველყოფა;

ზ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვებისა და სამინისტროსათვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ორგანიზება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

7. მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)

ა) მელიორაციის სფეროს განვითარების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;

ბ) მიწის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;

გ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით მიწათსარგებლობისა და ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების (ნიადაგის ატლასი) ერთიანი გეოინფორმაციული სისტემის შექმნაში მონაწილეობის მიღება;

დ) ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების მომზადების ორგანიზება;

ე) მიწის გამოყენებასთან დაკავშირებით მომზადებული პროექტების განხილვა.

8. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა;

ბ) საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მასმედიასთან ურთიერთობა, პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა და სამინისტროს სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების დაგეგმვა და ჩატარების ორგანიზება;

დ) სამინისტროში მოქალაქეთა მისაღების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ე) სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტების დიზაინი და ბრენდირება (ბრენდინგი);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

9. პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრა, სტრატეგიისა და დარგობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავება;

ბ) სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მონაცემთა ბაზის სრულყოფა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;

გ) სამინისტროში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, კვლევების ჩატარება და მიღებული შედეგების დამუშავებული სახით დაინტერესებული პირებისთვის წარდგენა;

დ) სოფლის მეურნეობის სფეროში მოზიდული და დაგეგმილი ინვესტიციების ანალიზი;

ე) სოფლის მეურნეობის საქმიანობასთან დაკავშირებული პროექტების მიმდინარეობის ხელშეწყობა, ინფორმაციული უზრუნველყოფა, შეფასება, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

ვ) სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) მსოფლიოში აპრობირებული სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით რეკომენდაციების შემუშავება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების გაზრდისა და პოპულარიზაციის მიზნით;

თ) საქართველოში საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების გამოვლენა და უცხოელი ინვესტორების მოზიდვისა და ერთობლივი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

ი) ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო პროექტების ინიცირება და მათი შედეგების ანალიზი;

კ) კომპენტენციის ფარგლებში სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

10. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)

ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადების, შესაბამისი მოლაპარაკებების გამართვისა და ხელშეკრულებათა ხელმოწერის პროცესის კოორდინაცია;

გ) მთავრობათაშორის კომისიებში სამინისტროს ჩართულობის უზრუნველყოფა, კომისიის ოქმის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა, ოქმის შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;

დ) ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატის შეხვედრებისა და ვიზიტებისათვის საჭირო სასაუბრო და ანალიტიკური მასალების მომზადება;

ე) სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით, უცხოეთის დელეგაციებისა და სპეციალისტების საქართველოში ვიზიტებისათვის, ასევე, საქართველოდან უცხოეთში ქართველი სპეციალისტების ვიზიტების პროგრამების შედგენა და ამ პროგრამების შესრულების კოორდინაცია;

ვ) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის საკითხების რეგულირება;

ზ) დონორებისა და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით აგრარულ სექტორში პროექტების დაგეგმვა, მართვის ხელშეწყობა და მონიტორინგი საქართველოს მთავრობისა და დონორთა შეთანხმების შესაბამისად;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესახებ დასკვნების მომზადება;

ი) ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მხარდამჭერი წინადადებების შემუშავება.

11. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)

ა) სამინისტროსათვის ერთიანი ინფორმაციული ტექნოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და მისი დანერგვის უზრუნველყოფა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ტერიტორიულ ორგანოებსა და სისტემაში შემავალ უწყებებში;

ბ) ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს საჭიროებებიდან გამომდინარე, ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობების ახალი ინოვაციური მოწყობილობებით ჩანაცვლება და მათზე მონიტორინგის წარმოების უზრუნველყოფა;

დ) სამინისტროში არსებული კომპიუტერული ქსელის სისტემების ადმინისტრირებისა და მართვის უზრუნველყოფა, ამასთან, მისი შიდა და გარე ქსელური პერიმეტრის დაცვა;

ე) მოქალაქეთა და ინვესტორთათვის სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ვ) არსებული სერვისების მხარდაჭერისა და ახალი ინოვაცია-ციური მომსახურების დანერგვის, მონაცემთა უწყვეტობისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ზ) ერთიანი, ცენტრალური მონაცემთა ბაზების შექმნა და შესაბამისი ანგარიშგების უზრუნველყოფა;

თ) სერვისების კატალოგების შექმნა და მათზე წვდომის დონეების მართვა;

ი) ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

12. ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: (03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)

ა) სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;

ბ) ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში განსაზღვრული ვალდებულებების, მათ შორის, საპროგრამო დოკუმენტების და სამოქმედო გეგმების შესრულების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სისტემაში შემავალი უწყებების საქმიანობის კოორდინაცია;

გ) ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით შექმნილ სამთავრობო საკოორდინაციო მექანიზმში მონაწილეობა;

დ) ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმებაში, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამართლებრივი დაახლოებისა-თვის-/ჰარმონიზაციისა--თვის აუცილებელი ზომების განხორციელება;

ე) ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ევროკავშირის რეგულაციებთან, გადაწყვეტილებებსა და დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების/ჰარმონიზაციის მიზნით, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სხვადასხვა უწყების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებისა და თანმდევი დოკუმენტების განხილვა და დასკვნის მომზადება;

ვ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ევროინტეგრაციის პრიორიტეტების მოთხოვნათა შესრულების ხელშეწყობა, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშგების წარმოება;

ზ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ევროპული ინტეგრაციის საკითხების თაობაზე წინადადებების შემუშავება.

13. რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: (03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)

ა) სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ტერიტორიული ორგანოების კოორდინაცია;

ბ) რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებით, აგრარული პოლიტიკის შემუშავება;

გ) რეგიონებში აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;

დ) სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, ფერმერთა და აგრომეწარმეთა საკონსულტაციო მომსახურების (ექსტენციის) სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სტატისტიკის სფეროში, მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა, აღნიშნული საქმიანობის კოორდინაცია და რეკომენდაციების მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;

თ) რეგიონებში დარგობრივი განვითარების გეგმის შესრულების კონტროლი და შესაბამისი ანგარიშგების წარმოება.

მუხლი 8. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია სამინისტროს რეგიონალური სამმართველოები და მუნიციპალიტეტებში სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები. ტერიტორიული ორგანოები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. *(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)*

2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია: *(03.12.2014 N 654 ამოქმედდეს 2015 წლის 5 იანვრიდან)*

ა) რეგიონალური სამმართველოები:

ა.ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რეგიონალური სამმართველო;

ა.ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო;

ა.გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო;

ა.დ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველო;

ა.ე) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო;

ა.ვ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის რეგიონალური სამმართველო;

ა.ზ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო;

ა.თ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო;

ა.ი) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონალური სამმართველო;

ბ.3⁹) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცაგერის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური;

ბ.3¹⁰) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური;

ბ.3¹¹) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური;

ბ.3¹²) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

3. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მმართველობის სფეროს უფლებამოსილებანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 9. სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.